

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ადმასრულებელი საბჭოს
სხდომა**

3 მაისი 2008 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, არაყიშვილის I ჩიხი №9

სხდომის დაწყების დრო: 13:00სთ.

სხდომაზე დამსწრე ადმასრულებელი საბჭოს წევრები:
კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), ზურაბ ტაბიძე, რუსუდან პიტაგა, ზვიად კორძაძე, გონა სვანიძე.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. საწევრო გადაუხდელ პირთა გარიცხვის შესახებ;
2. საწევრო შეღავათის მოთხოვნით შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ;
3. უფლებამოსილების შეჩერების მსურველთა განცხადებების განხილვის შესახებ.

სხდომა გახსნა ასოციაციის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხით. ადმასრულებელი საბჭოს წევრების მიერ განსხვავებული შეხედულება არ გამოთქმულა დავალიანების მქონე წევრთა გარიცხვის შესახებ. რუსუდან პიტაგას განმარტებით, წევრები უნდა გაფრთხილდნენ იმის თაობაზე, რომ გარიცხულთა სიები გადაეცემა ყველა იმ ორგანოს, ვისაც მოკვლევის უფლება გააჩნია. თავმჯდომარის განმარტებით, ადვოკატის უფლებამოსილების აღდგენა ავტომატურად მოხდება საწევრო დავალიანების დაფარვით, რათა უფლებამოსილება აღდგენილ წევრებს პრობლემები არ შეექმნათ სასჯელადსრულების ორგანოებთან.

სხდომაზე განხილულ იქნა ასოციაციის წევრთა განცხადებები საწევრო შეღავათების მოთხოვნით და ასევე, წევრთა განცხადებები უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე.

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1. ადვოკატთა ასოციაციის იმ წევრთა გარიცხვა, რომლებსაც ერიცხებოდა დავალიანება საწევრო შენატანის გადაუხდელობის გამო.
2. ადვოკატთა ასოციაციის წევრთა მიერ შემოტანილი განცხადებებიდან მხოლოდ იმ განცხადებების დაკმაყოფილება, რომლებიც შეესაბამებოდა აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
კ. ასლანიშვილი, ზ. ტაბიძე, რ. პიტავა, ზ. კორძაძე, გ. სვანიძე.

კახაბერ ასლანიშვილი
თავმჯდომარე